# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 334 — ხუთშაბათი, 28 ივლისი 1905 წ. — გაზეთის № 2873.


### ფანტური

—

დაუკარ, ჩემო ფანტურო,
დაუკარ, გენაცვალები,
მოყვარეს გული მოულბე,
მტერს დაუშრე თვალები.

ნაღველი გულში ნადები
ცრემლადა დამადგრეინე;
ჩამოწყვეტილი საკინძი
დილზედა შემაკვრეინე!

ფურცლისა ხისგან გაგთალა
პაპამა საცქერელადა;
მამამ ღარები დახვეწა,
გაგიბა საყდერელადა.

მათ მიანდერძეს, ფანტური
გქონდესო გასახარებლად;
ჩვენც არა ერთხელ გვქონია
ჭმუნვისა გასაქარვებლად!

მაგრამ მე შენგან ნუგეში
ერთხელაც არა მსმენია,
შენი დუდუნი სალხინო
გულს ჯერაც არ მოჰფენია.

დღესაც ტყვედა ვარ ობოლი
ბედისა დაკარგულისა;—
თუ მამა-პაპას ულხენდი,
მეც მომილხინე გულისა.

დღეს მაინც დაჰკარ ტკბილადა,
ტკბილი ხმა მეც მათქმეინე;
თავისუფლების საკინძი
კვლავ დილზე შემაკვრეინე!

**გოგლო**

## კლოდ გე

**ვიქტორ ჰიუგოსი** *)

**1832** წლის **16** მარტს კლოდი, სრულიად განკურნებული, წარსდგა ნაფიც მსაჯულთა სამართლის წინაშე· თითქმის მთელი ქალაქი დაესწრო იმის გასამართლებას.

კლოდს სასამართლოში თავი მშვიდად ეჭირა. იგი მთლად გაპარსული იყო და ტანთ ეცვა ტუსაღის უბრალო,—ორ სხვა-და-სხვა რუხი ფერის ნაჭრისაგან ტომარასავით ამოკერილი,—ტანისამოსი. პროკურორს მთელი დარბაზი შეიარაღებული სალდათებით აევსო სატუსაღოს „ყველა ავაზაკთა“ დასამორჩილებლად, რომელნიც მოწმეებად უნდა მოეყვანათ.

*) იხ. „დამატება“, № 333.

საქმის გარჩევის დროს მოხდა ერთი შესანიშნავი ამბავი. ტუსაღები არ აძლევდნენ ჩვენებას კლოდის წინააღმდეგ. თავმჯდომარე ემუქრებოდა თავის განუსაზღვრელ უფლებებით, მაგრამ ამითიც ვერას ხდებოდა, მხოლოდ მაშინ, როცა კლდომა ტუსაღებს ლაპარაკის უფლება მისცა და სთხოვა, ყოველივე სიმართლით ეჩვენებინათ,—მხოლოდ მაშინ ამოიდგა ყველამ ენა და უამბო სასამართლოს, რაც ენახა. კლოდი დიდის ყურადღებით ისმენდა და თუ რომელიმე იმათგანი დავიწყებისა, თუ პატივის ცემის გამო, სიმართლეს უხვევდა ბრალდებულის საწინააღმდეგო ფაქტების შესამსუბუქებლად, კლოდი მაშინვე აღადგენდა ხოლმე სიმართლეს, ჭეშმარიტებას. მოწმეებმა მრავალი ფაქტი აღნიშნეს. ეს ფაქტები მკითხველმა უკვე უწყის. იყო ისეთი წამებიც, რომ დამსწრე ქალები სტიროდნენ.

სასამართლოს ბოქაულმა ალბენს დაუძახა. ახლა იმაზე მ·დგა ჩვენების ჩამორთმევის ჯერი.

ალბენი ბარბაცით შემოვიდა, თვალებში ცრემლ მორეული გაექანა კლოდისაკენ, გადაეხვია და გულში მაგრად ჩაეკრა.

კლოდმა შეიმაგრა იგი, მიუბრუნდა პროკურორს ღიმილით და უთხრა:

— აი ეს ავაზაკი, რომელიც თავის ლუკმას მშივრებს უყოფს!—და ხელზე აკოცა ალბენს.

მოწმეთა ჩვენება გათავდა.

წამოდგა პროკურორი და ასე დაიწყო თავისი სიტყვა:

— ბატონო მსაჯულნო! ძირიან-ფესვიანად შეირყეოდა საზოგადოების საფუძველი, თუ რომ მართლ-მსაჯულება არა სდევნიდეს ისეთ დამნაშავეებს, როგორიც აი ეს არის...

და სხვა...

ამ ღირს სახსოვარ სიტყვის შემდეგ კლოდის დამცველი წამოდგა. რაც კი ჩვეულებრივ უნდა ითქვას ბრალდებულის სასარგებლოდ და წინააღმდეგ, ყოველივე წარმოითქვა იმ საქმის განხილვის დროს, რომელსაც სისხლის სამართლის პროცესი ჰქვიან. მაგრამ კლოდი ჰხედავდა, რომ ყველაფერი არ იყო ნათქვამი. ისიც წამოდგა თავის დროს და დაიწყო ლაპარაკი.

კლოდი ისე მჭევრ-მეტყველურად ლაპარაკობდა, რომ ბევრი განათლებული კაცი განცვიფრებაში მოჰყავდა. ეს საცოდავი მუშა ორატორს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქურდსა და კაცის მკვლელს. ლაპარაკობდა დინჯად და გულ-გამგმირავის ხმით, გულწრფელის, სისწორისა და გაბედულის სახით ყველაფერზე თანხმობას აცხადებდა და მამაცურად შესცქეროდა თვალებში კანონის მე-296 მუხლს, რომელიც თხოულობდა იმის თავს. ხან-და-ხან ისე მჭევრ-მეტყველურად და გატაცებით ლაპარაკობდა კლოდი, რომ საყვედურს იწვევდა ხალხის მღელვარებისთვის, რომელიც მარცვლებივით ჰკრეფდა და ერთმანეთს პირში უდებდა ყოველსავე იმის ნათქვამს. ამ საზოგადო მღელვარების დროს კლოდი შეჩერდებოდა, სულს მოიბრუნებდა და ამაყად თვალს გადაავლებდა ხოლმე საზოგადოებას. სხვა წამს ეს ანბანის არ მცოდნე ბრალდებული ნამდვილ ინტელიგენტის შესაფერ თავაზიანობას, სიმშვიდეს, თავდაჭერილობას, გულჩვილობას და ზრდილობას იჩენდა.



ვლ. სტაროსელსკი,

ქუთაისის ახალი გუბერნატორი

კლოდი მინდობილი იყო მოსამართლეებზე და საკვირველის გამოცდილებით, სიფრთხილით, დაკვირვებით და სიმშვიდით ხსნიდა, როცა საჭირო იყო, თავის სიტყვის ბუნდოვან ალაგებს, აზრებს. ის მხოლოდ ერთ დროს დასძლია მრისხანებამ და აენთო ბურბუშელასავით: პროკურორმა, ზემოდ მოხსენებულ სიტყვაში ასეთი დასკვნა გამოიყვანა: კლოდ გემ მოჰკლა თავისი უფროსი, როცა იმას არც მოქმედებით მიუყენებია შეურაცხყოფა და არც ძალდატანება უხმარია... მაშასადამე კლოდი უფროსს არაფრით არ გამოუწვევიაო.

— როგორ თუ არ გამოუწვევივარ?—შეჰყვირა კლოდმა. —ჰო!.. მესმის, მესმის! მართალია... ღოთმა რომ ყბაში შემომკრას და იგი ამისთვის მოვკლა, გამოვა, რომ იმან გამომიწვია. თქვენ მაშინ მოწყალებით მომეპყრობით და კატორგაში გამგზავნით. და თუ ფხიზელი, სრულ გონებაზე მყოფი ადამიანი სულს მაძრობს ოთხის წლის განმავლობაში? მანადგურებს? ნემსითა მჩხვლეტს ყოველ დღე, ყოველ ჟამს, ყოველ წამს? მიჩიჩხვირებს და მწარე სიტყვებით გულს მიწყლავს? ეს არაფერია?! მყავდა ცოლი, რომელისთვისაც ვიქურდე: ის-კი მკბენს, ხორცს მაგლეჯს ამ დედაკაცის ცუდათ ხსენებით. მყავდა შვილი, რომლისათვისაც მოვიპარე: ის მღრღნის, გულს მიგმირავს ამ ბავშვით. მე არა მაქვს ლუკმა პური, შიმშილით კუჭი მიხმება და ამ დროს მეგობარი თვის ლუკმას მაჭმევს· ის-კი მართმევს, მაცლის ხელიდან მეგობარს და პირიდან ლუკმას. ვევედრები დამიბრუნოს მეგობარი – ის კარცერში მამწყვდევს. მე „თქვენ“-ობით ველაპარაკები იმ ჯაშუშს, ის კი „შენ“-ობით მეპასუხება. მე ველაპარაკები ჩემს ტანჯვაზე, შევჩივი ჩემს ჭირ-ვარამს—ის კი მეუბნება, „თავი მომაბეზრეთ“... მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავ, თქვენ გკითხავთ?! მე მოვკალი. ვსთქვათ მხეცი ვარ, მოვკალ ადამიანი სრულიად უსაბაბოდ, და თქვენ უნდა გადამიწყვიტოთ თავის მოჭრა... კარგი... იყავ ნება თქვენი!..

კამათი დასრულდა. თავმჯდომარემ შემდეგი პირუთვნელი, მიუდგომელი დასკვნა გამოიყვანა: კლოდ გეს ცუდი ყოფა-ქცევა როსკიპთან ცხოვრებით დაუწყია; მერე ქურდობა ჩაუდენია; ბოლოს კაცი მოუკლავს.

ყველაფერი ასე მოხდა, ნამდვილიაო. ნაფიც მსაჯულთა თათბირამდის თავმჯდომარემ ჰკითხა ბრალდებულს:

— რა აქვს სათქმელი კითხვების დაყენების შესახებ?

— ბევრი არაფერი, მაგრამ მაინც საჭიროდ ვთვლი დავუმატო: მე ქურდი ვარ და კაცის მკვლელი; მოვიპარე და მოვკალი. მაგრამ რისთვის მოვიპარე და რისთვის მოვკალი? ნუ დაივიწყებთ, ბატონო მსაჯულნო, სხვა კითხვებს ეს ორი კითხვაც მიუმატეთ.

შემდეგ 15 წამის თათბირისა და 12 მოქალაქის პასუხისა, რომელთაც „ბატონ ნაფიცი მსაჯულები“-ს სახელით ადიდებდნენ, კლოდ გეს გამოუცხადეს სიკვდილით დასჯის განაჩენი...

უეჭველია, ჯერ სხდომის დაწყებისათანავე მარტო სიტყვა „გე“ (gueux-ნიშნავს გაქნილს) ზოგ მსაჯულზე ბრალდებულისთვის არა სახეირო შთაბეჭდილებას იქონიებდა.

წაუკითხეს განაჩენი კლოდს, რომელმაც მხოლოდ ერთის შენიშვნის მიცემა იკმარა:



სოფლის ცხოვრებიდან.—სურათი ანდრე ბრუილესი.

— ძალიან კარგი, ბატონებო! მაგრამ რისთვის მოიპარა და რისთვის მოჰკლა ამ კაცმა? ამ ორი კითხვის პასუხი რომ არა სჩანს?!

საპატიმროში რომ დაბრუნდა, კლოდმა მხიარულად ივახშმა და სთქვა:

— განქრა ოცდა თექვსმეტი წელიწადი, ვითარცა სიზმარი!

კლოდმა არ ინდომა გადაწყვეტილების განსაჩივრება უმაღლეს სასამართლოში, თუმცა იმისმა მომვლელმა მოწყალების დამ ბევრი ურჩია და ეხვეწებოდა ცრემლთა ფრქვევით.

იმის თხოვნის დასაკმაყოფილებლად შეიტანა კია კლოდმა საჩივარი, მაგრამ უკანასკნელ წამამდე ამისი წინააღმდეგი იყო, რაიცა იმითი დაამტკიცა, რომ საჩივარზე ხელის მიწერა სამი წამით დააგვიანა კანონით დაწესებულ სამის დღის ვადას.

ამ კეთილის მყოფმა ქალმა კლოდს აჩუქა ხუთი ფრანკი, რომელიც იმან მადლობით გამოართვა.

ამ სამი დღის განმავლობაში ამაოდ ურჩევდნენ, ემუდარებოდნენ და ხელს უმართავდნენ ტუსაღები, რომ გაპარულიყო სატუსაღოდან. კლოდი უარზე იდგა დაჟინებით. ამაოდ აწვდიდა ზოგი ლურსმანს, ზოგი მართულის ნატეხს და ზოგი ქლიბს, რომლითაც მოხერხებულ კლოდს ადვილად შეეძლო გაეღო, გაეტეხნა, ან გადაექლიბნა ბორკილი, მაგრამ კლოდი ყველა ამ იარაღს ზედამხედველს აძლევდა.

შვიდი თვისა და ოთხი დღის შემდეგ დადგა განკითხვის დღეც ეს იყო 1832 წლის 8 ივნისი.

დილის 7 საათზე კამერაში შევიდა სასამართლოს მდივანი და გამოუცხადა, რომ ერთის საათის სიცოცხლე-ღა დაგრჩენიაო. იმისი საკასაციო საჩივარი არ შეიწყნარეს.

— რა ვქნა!—მიუგო კლოდმა ცივად:—წუხელის ღამაზად მეძინა და არც-კი წარმომიდგენია, რომ მეორე ღამეს კიდევ უკეთესად გამოვიძინებდიო!

კლოდთან მივიდა მოძღვარი. მოძღვარს თან მოჰყვა ჯალათი. კლოდი ერთს პატივისცემით მიეგება, ხოლო მეორეს—ზრდილობიანად.

კლოდი სრულიად გულ დამშვიდებული იყო. როცა კრეჭდნენ, კამერის კუთხეში ვიღამაც ლაპარაკი ჩამოაგდო, რომ ქალაქი დიდ შიშსა და განსაცდელშია, რადგან მალე ხოლერას მოელიანო.

— მე სრულებითაც არ მეშინია ხოლერისა.—გამოეპასუხა კლოდი.

იმან დიდის ყურადღებით მოუსმინა მოძღვარს და შესჩივლა, რომ სარწმუნოებრივ აღზრდას მოკლებულ ვიყავიო.

კლოდმა ითხოვა, დაებრუნებინათ მაკრატელი, რომლითაც თავს იკლავდა. მაკრატელს პირი ამომტვრეოდა და გულში დარჩენილიყო.

კლოდმა სთხოვა დარაჯს, რომ ეს მაკრატელი ალბენისთვის გადაეცა. ამასთან ინატრა, ნეტავ ამ სულით და გულით მიძღვნილ მაკრატელთან იმისი დღევანდელი წილი პურიც გადაეცათ ალბენისათვის.

როცა ხელებს უკრავდნენ, კლოდი შეეხვეწა, ცალ ხელში მოწყალების დის ნაჩუქარი 5 ფრანკიანი ჩაედოთ.

რვას ჩარექი აკლდა, როცა კლოდი შესაფერის პროცესიით გამოიყვანეს საპატიმროდან. ის იყო ფერ წასული, მაგრამ ყოჩაღათ მიდიოდა და თვალები ჯვარცმისთვის მიეპყრო.

კლოდის დასასჯელად განგებ ისეთი დღე ამოერჩიათ, ბაზრობა უნდა ყოფილიყო, რომ უფრო მეტ ხალხს ეცქირნა ამ პროცესიისათვის.

ეტყობა კიდევ დარჩენილა საფრანგეთში ისეთი ადგილები, სადაც საზოგადოება კაცის კვლით ერთობა, თავს იწონებს, კვეხულობს...

კლოდი ეშაფოტზე (სახრჩობელა) ავიდა წყნარად, მედიდურის სახით, და მაცხოვრის ჯვარცმას თვალს არ აშორებდა.




— რა წასაკითხია „ნივა“, რომ მაგაზე სცდები?
— მეტი რა გზაა, რომ ჩვენი გზები დროზე არ გვაწვდიან გაზეთებს და ადგილობრივი გაზეთები კი ისეთს მდგომარეობაშია, რომ...

იმას უნდოდა, მთხვეოდა მოძღვარს, ნიშნად მადლობისა, და გადაეკოცნა ჯალათი—პატივის ნიშნად, მაგრამ, ამბობენ, ჯალათმა იგი ჩუმად მოიშორა თავიდამაო.

იმ წამს, როცა ჯალათის თანაშემწეს უნდა გაეკრა კლოდი ეშაფოტის საზიზღარ მანქანაზე, იმან ანიშნა მოძღვარს, რომ ჩამოერთვა მარჯვენა ხელიდგან ხუთ ფრანკიანი.

— ღარიბთათვის!—წამოიძახა იმან, მაგრამ საპყრობილის საათის ხმამ, რომელსაც ამ დროს რვის შესრულება უნდა ეცნობებინა, დაფარა კლოდის ხმა. მოძღვარმა ხმა მაღლა შესძახა, რომ ვერ გავიგონე შენი ნათქვამიო.

კლოდმა წყნარად გაიმეორა:

— ღარიბთათვის!

ჯერ მერვე არ დაეკრა ზარს, რომ კლოდის გონიერი და პატიოსანი თავი სხეულს მოჰკვეთეს, ტანს მოაშორეს...

შესანიშნავი გავლენა აქვს მისთანა საჯარო სასჯელს: იმავე დღეს ეშაფოტის მანქანასთან, რომელსაც ჯერ სისხლიც არ გადასცლოდა, ვაჭრები რაღაც ბაჟის თაობაზე შელაპარაკდნენ და კინაღამ წუთი სოფელს გამოასალმეს დამოჟნის მოხელე.

აი როგორის ხასიათის სიმშვიდეს ჰბადავს ამისთანა კანონები!..

თ. კანდელაკი.



არ ვიცი, ღმერთმანი რომელი უფრო გამომადგება ამ დროის დოღში?..



გასაკვირველია, როგორ ღონივრად იწევს წინ, ვეღარ შემიმაგრებია!..

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ 26 іюля 1905 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.